ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 102
(11 559)

28 – 31 დეკემბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ახალ წელს გილოცავთ
გიორგი ასანიძე
და მუხრან ვახტანგაძე



ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

არსენალი – ჩელსი

ჰიბერნიანი – რეინჯერსი

4

საახალწლო მილოცვა

საქართველოს სპორტსმენებს,
ვეტერან სპორტსმენებს,
მწვრთნელებს,
სპორტის მუშაკებს,
სპორტულ ჟურნალისტებს,
სპორტის ყველა გულშემატკივარს

დიდი სიყვარულით მივესალმები ყველას, გულწრფელად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ ცხოვრებას, 2002 წელი ყოფილიყოს ფეხბედნიერი ჩვენი ქვეყნისათვის, მრავლად გვენახოს გამარჯვების კვარცხლბეკზე საქართველოს წარმომადგენლები.

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დამდეგ ახალ წელს ულოცავს დედაქალაქის სპორტული და ტურისტული ორგანიზაციების, სპორტული კლუბების, სპორტული ბაზების თანამშრომლებს, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელებს და მათ მწვრთნელებს, ყველა სპორტსმენს, სპორტის ვეტერანს, სპორტულ ჟურნალისტებს და ქართული სპორტის გულშემატკივრებს. უსურვებს მათ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, ახალ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და ქართული სპორტის სასახელოდ პატრიოტულ შრომაში.

მ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური

ოლიმპიური ჩირაღდანის ესტაფეტაში 102 წლის ამერიკელიც ჩაერთვება

2

საზეიმო საღამოები სპორტსმენთა სადიდებლად

2001 წლის 30 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება საქართველოს „ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია
დასაწყისი 18 საათზე

2001 წლის 28 დეკემბერს, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული რეფერენდუმით გამოვლენილი საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის, გუნდისა და მწვრთნელის დაჯილდოების ცერემონიალი და საახალწლო ბანკეტი.
დასაწყისი 17 საათზე.

2002 წლის მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

6

მილოცვა

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიურ ჩემპიონებს ვაშა კაჭარავას და დავით ბოგეჯიშვილს.

NBA

გოლდენ სტეიტი – ლეიკერსი

6

ნბა

ციტატა

ფიფის ჭაბუკები

ნინო სალუქვაძე: „წლეულს „ათენი-2004“-ის ლიცენზიები თამაშდება. ოლიმპიადის საგზურს მსოფლიო თასის გათამაშებაში პირველ ადგილზე გასული და მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული ოთხეული მიიღებს. ეს ასპარეზობები კი ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. ასე რომ, თუ ახლა არ მოვიპოვეთ ლიცენზიები, ოლიმპიადის მიღმა დავრჩებით. მე კი ჯერ არც ერთი შეკრება არ გამივლია. ძალიან რთული მდგომარეობაა.

ჩემი აზრით, წექმნილი ვითარებიდან ერთგვარი გამოსავალი იქნება კანონი სპონსორობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაიხვეწა ისე, რომ სამივე მხარისთვის (სპორტის, სახელმწიფოს და სპონსორთა) მისაღები იყოს. თუკი სპორტის სხვა სახეობათა ფედერაციებს, ასე თუ ისე, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები ეხმარებიან, ჩვენ არც მათი იმედი გვაქვს, რადგან ტყვიის სროლა არასანახაობრივი და არაპროფესიონალური სახეობაა, მეგობრულად შეიძლება შიგადაშიგ ვინმე ფინანსურად წაგვეხმაროს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთჯერადი დახმარება იქნება“.

მიხეილ მესხის სახელობის ჯურნირი

5

ბენდელას თასი

4

მონგოლია – კოლუმბიის საუკეთესო სპორტსმენი

კოლუმბიელი ავტო მრბოლი ხუან პაბლო მონტოია დასახელებულ იქნა კოლუმბიის საუკეთესო სპორტსმენად. ეს 26 წლის სპორტსმენი დასახელებულ იქნა „ფორმულა I“-ის საუკეთესო ახალბედად. საერთო ჩათვლაში მან დაიკავა მე-6 ადგილი.

მეორე ადგილზე გამოკითხვაში გავიდა ველოსიპედბოლი სანტიაგო ბოტერო.

ჭადრაკი

უკრაინული ფინალი

16 იანვარს მოსკოვში სტარტს აიღებს მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის „ფიდეს“ ვერსიით, ერთმანეთს ხვდებიან უკრაინელები ვასილი ივანჩუკი და რუსლან პონომარიოვი. ამ შეხვედრის საპრიზო ფონდი 750 000 აშშ დოლარია, აქედან 500 000-ს მიიღებს გამარჯვებული.

გაგაცნობთ თამაშის განრიგს:
16 იანვარი: საზეიმო გახსნა;
17-20 იანვარი: 1,2,3,4 კლასიკური პარტია.
21 იანვარი: დასვენების დღე.
22-25 იანვარი: 5,6,7,8 კლასიკური პარტია
26 იანვარი: ტაიმ-ბრეიკი და საზეიმო დახურვა.

კლასიკურ პარტიებში დრო 1,5 სთ-ია, ტაიმ-ბრეიკზე (თუ ანგარიში იქნება პირველი პარტიის შემდეგ საუაიმო) დაინიშნება სწრაფი ჭადრაკი — 20 წუთი, ბლიცი — 5 წთ.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 7 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 42 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

102 წლის ამერიკელი ოლიმპიური ჩირაღდნით

ოლიმპიური ჩირაღდანი კარგა ხანია მოგზაურობს აშშ-ში. ვიდრე ჩირაღდანს სოლტ-ლეიკ-სიტში ჩაიტანენ, ის კიდევ ბევრი ამერიკელის ხელში აღმოჩნდება, რომელთა შორის იქნება 102 წლის შტატ ოჰაიოს მცხოვრები სარა მაკლილენდი. 3 იანვარს ეს ქალბატონი ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში შევა როგორც რეკორდსმენი – ის ყველაზე ხანდაზმული ადამიანია, რომელიც ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მიიღებს მონაწილეობას.

ახლა ეს ქალი არჩევანის წინაშეა – ნელი სირბილით წაიღოს ესტაფეტა თუ ცხენზე ამხედრებულმა. ბებიას საქმე 22 წლის შვილიშვილმა ჯესიმ „ჩაუწყო“, რომელმაც თავისი ინიციატივით შესთავაზა ეს წინადადება ორგანიზატორებს. დადებითი პასუხი როცა მიიღო, მოხუცს ეგონა ეს იყო, რაღაც მორიგი სარეკლამო ფურცელი და გადაგდება უნდოდა, მაგრამ ნათესავმა ქალმა არ დაანება. როცა ყველაფერი გაუმხილეს, ბებიამ თქვა: „ეს ამბავი ყველას გაუხარდა, ჩემზე მეტადაც კი“...

სოკ-ის დიპლომებით დაჯილდოება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მასობრივი და დიდი სპორტის განვითარებაში თანადგომისათვის დიპლომებით დააჯილდოვა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მუშაკთა ჯგუფი. რექტორებიდან დაჯილდოებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი როინ მეტრეველი.

დაჯილდოებულთა შორის არიან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე ოთარ მიმინოშვილი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტი გიზო დოლიძე, აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე დოდო ჟორჟოლიანი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე ვარდო ბერიძე, თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სპორტის კათედრის გამგე გელა ბარკალაია, რესპუბლიკის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის გენერალური მდივანი გივი მძელური, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სპორტის კათედრის გამგე თეიმურაზ ფუტკარაძე და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის კათედრის გამგე თენგიზ ჩითალიშვილი.

მედეა სიგუა

დაჯილდოებულნი ელდარ მალხაზიშვილის ფოტო



არის გინესის რეკორდი!

როგორც ვიუწყებოდით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მაგისტრანტ შოთა ქელდიშვილს ჰანტელების მხრებთან მიტანაში გინესის რეკორდის დამყარება ჰქონდა განზრახული. საგანგებო კომისიის თანდასწრებით მან წინასწარ ნავარაუდევი 13 ათასის ნაცვლად ეს ვარჯიში 14 380-ჯერ შეასრულა სამი საათის განმავლობაში.

კომისიის დასკვნა და ვიდეოფირი ამ დღეებში გაიგზავნება გინესის რეკორდების რეგისტრაციის ოფისში.

აბასს აღალაროვის თასზე

ამ დღეებში ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კრივში ახალგაზრდებს შორის ა. აღალაროვის თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 100 სპორტსმენი. ჩვენი ქვეყნის ღირსებას კი იცავდა 9 მოკრივე, აქედან 6-მა მედალი მოიპოვა.

პირველ ადგილზე გავიდა თბილისელი კონსტანტინე კუპატაძე (54 კგ, მწვრთნელი ნოდარ ქიქავა), რომელმაც ფინალში სძლია ევროპის პირველობის ფინალისტს კადეტებს შორის, აზერბაიჯანელ რომალ ამანოვს.

48 კგ. წონით კატეგორიაში რუსთაველმა ზვიად ხადურმა აშკარად სძლია აზერბაიჯანელ ელშად გულიევს, მაგრამ მასპინძელი მსაჯების არაობიექტურობის გამო, მას გამარჯვება არ მიაკუთვნეს.

60 კგ. წონაში ფოთელი კახაბერ ჟვანია და +91 კგ-ში ვარიანელი კობა ნაჭუბია ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

ბრინჯაოს მედლები ხვდათ ქუთაისელ ვახუშტი ჭეიშვილს (91) და ფოთელ ვალერი ნაროუშვილს (+91).

ქართველი მოკრივეები გამოირჩეოდნენ ტექტიკურ-ტექნიკური მომზადებით, და რომ არა ადგილობრივი მსაჯების არაობიექტურობა, ისინი მაღალი ხარისხის მეტ მედლებს მოიპოვებდნენ.

კონსტანტინე კუპატაძე

ასეთი რანგის შეჯიბრება დამოუკიდებელ აზერბაიჯანში პირველად ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კრივის ეროვნულმა ფედერაციამ ამ გაჭირვებულ ქამს შეძლო გუნდის მივლინება შეჯიბრებაზე.

დავით ძავთარაძე,
შეჯიბრების არბიტრი, მსოფლიო სამოყვარულო კრივის რეფერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ბილიარდს ახალი კლუბი შეემატა – „პირამიდა პლუსი“

საქართველოს ბილიარდის ფედერაციამ (პრეზიდენტი დავით ალექსიძე) 2001 წელი აქტიური საქმიანობით განვლო და სპორტის ამ პოპულარული სახეობის მასობრიობისთვის ბევრი რამ გააკეთა. წლეულს თბილისს რამდენიმე ბილიარდის კლუბი შეემატა, ჩატარდა უამრავი შეჯიბრება, რჩეულები კი წარმატებით ასპარეზობდნენ საზღვარგარეთ. ამ დღეებში კიდევ ერთი ბრწყინვალე საბილიარდო კლუბი გაიხსნა – „პირამიდა პლუსი“ (დირექტორი თენგიზ შარაშენიძე). სწორედ ამ კლუბის გახსნას მიეძღვნა ტურნირი ამერიკულ პულში, რომელმაც მოასპარეზეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი. თბილისელთა გარდა, ტურნირში იასპარეზეს ბათუმის, გორის და ოზურგეთის წარმომადგენლებმა – სულ 216-მა მონაწილემ.

ვაჟთა შორის გურამ ჩახვაშვილმა (მუშტაიდი) ფინალში 5:1 სძლია ნიკა კელაურიძეს (ვერე), მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ლაშა გირკელიძემ (ოზურგეთი) აჯობა კახა არონიას (12 სკამი) – 4:2. ქალთა პირველობაში ინგა ხუბულავამ (რეინჯერი) მოუგო ოლგა ფიცხელაურს (იმპერიალი) 4:0, ტატა გოსტევამ (რეინჯერი) კი მესამე ადგილისთვის გურანდა ნემსაძესთან (12 სკამი) დავაში გაიმარჯვა – 3-0.

გუშინ „პირამიდა პლუსმა“ ახალი სტუმრები მიიღო – დაიწყო მასმედიის წარმომადგენელთა მეტად საინტერესო ტურნირი, რომელშიაც პრესის, ტელევიზიის და რადიოს ჟურნალისტები მონაწილეობენ.

ნინო ძავთარაძე.





სურათებზე: გურამ ჩახვაშვილი, ინგა ხუბულავა თამაშის დროს.

რობერტ ბაგოიანის ფოტოები

ოთარ ნოზაძის არქივიდან

სარეკორდო 33-0...

ფეხბურთის ძველმა გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ჯერ კიდევ ომამდე თბილისში დაიბადა სახუმარო ტერმინი „ბორჩალო“, რაც იმას ნიშნავდა, რომ გუნდმა უჩვეულოდ დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა. ბორჩალოელები (ახლანდელი მარნეული) მაშინ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოსულან თბილისში, სადაც ლენინის სახელობის ძველ სტადიონზე შეხვდნენ ზიი-ს (ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის) გუნდს.

მატჩს სჯიდა ცნობილი ფეხბურთელი და არბიტრი ნიკოლაი ბლანკმანი. სტუდენტებმა გაიმარჯვეს საკმაოდ დიდი ანგარიშით 21-0. არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს გუნდში თამაშობდნენ შემდგომში საქვეყნოდ აღიარებული მომავალი თბილისის დინამოელები – ბორის პაიჭაძე, არჩილ კიკნაძე, ვლადიმერ (გვაჩი) ჯორბენაძე, მიხაილ მინაევი, კაკო ყალიჩავა, ნიკოლაი ბოლოტინი, იური კასრაძე და სხვ.

გავიდა წლები და ეს „რეკორდი“ დაემხო – პირდაპირ ასტრონომიული ანგარიშით: თბილისის „შრომითი რეზერვების“ ჭაბუკთა გუნდმა როსტოვში ამავე სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე (18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის) როსტოვის თანაკლუბელთა გუნდს სძლია – 33-0! ეს იყო 1947 წლის ზაფხულში. გთავაზობთ თბილისის „შრომითი რეზერვების“ გუნდის მაშინდელი მწვრთნელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის რაჩიკ მამაჯანოვის ნაამბობს.

– ამ „ისტორიულ“ შეხვედრაზე ორი წლით ადრე ჩვენ მართლაც დიდებული გუნდი გვყავდა. საკმარისია ითქვას, რომ იმხანად იქ თამაშობდნენ შემდგომში ცნობილი ფეხბურთელები: მიხეილ ჯოჯუა, გარი გარიშვილი, ძმები ირაკლი და ამირან ბურჭულაძეები, ზურაბ ქვარიანი, მეკარე ვლადიკ დავთიანი (მერე მოსკოვის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა), ფილიპე მახარაძე (მოგვიანებით რომ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ) და სხვა. 1945 წლის „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობის დამთავრების შემდეგ, სადაც ჩვენებმა ჩემპიონობა მოიპოვეს, მოთამაშე მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა მოსკოვის თანაკლუბელთა გუნდში გადაიყვანა ზემოთ ხსენებული შვიდივე ფეხბურთელი, და ორი სეზონი ათამაშა საკავშირო პირველობის მეორე ჯგუფში. ბუნებრივია, შემდგომში ჩვენი გუნდი ერთობ დასუსტდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ახალი, საკმაოდ ახალგაზრდული შემადგენლობით გამანადგურებლად მოუგო როსტოველ თანატოლებს. მატჩის მსაჯმა თამაშის შემდგომ „ოქმში „33-0“ შეიტანა (აშკარად აერია თვლა!, თუმცა პირადად მე უტყუარად 33-0 დავთვალე).

იმასაც დავძენთ, რომ ამის შემდეგ თბილისელებმა ტურნირის მორიგი თამაში სიმფეროპოლის გუნდთან შინ ჩაატარეს და 18-0 მოიგეს. თურმე, ნუ იტყვით, ჩვენი მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს თამაშის დღეს „დეზერტირების“ ბაზარში ახალშემოსული საზამთროები უყიდიათ (შემოდგომა იდგა) ბლომად, გვარიანად მიურთმევიათ კიდეც. თამაშის დღეს საკმაოდ მაღალი სიცხე იყო, მეტოქენი თავიდან, ასე თუ ისე, წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველ ფეხბურთელებს, მეორე ტაიმში კი მთლად გაჩერდნენ, ვიღაცამ დაჯდომაც კი მოინდომა მინდორზე. მატჩი ცალ კარში თამაშს დაემსგავსა – ვახო გვარამაძე, ვალიკო ირემაძე, გელა ცქიტიშვილი და მათი თანაგუნდელები ყრიდნენ და ყრიდნენ ბურთებს სიმფეროპოლელთა კარში...

ოთარ ნოზაძე

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

მზია ჯუღელი: „საკუთარი ძალების რწმენა ჯერ კიდევ არ მქონდა დაკარგული. გამოსვლას ვასრულებდი მალაყით. ის იყო ჩავამთავრე გამოსვლა და სულ ბოლო ფაზაში, დახტომისას ფეხი მეღრძო. მოვინდომე არ შემეშჩნია. მაგრამ ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდა. ჩვენები მიხვდნენ, რაც შემემთხვა. დელეგაციის ხელმძღვანელმა თენგიზ სისორდიამ ხელში ამიტაცა და ისე გამიყვანა არენიდან. პირდაპირ სამედიცინო პუნქტში გამაქანა. ასე დამთავრდა ის ასპარეზობა ჩემთვის. მაშინდელი ტრავმა დღემდე მახსენებს თავს“.

მზია სკოლაში დიდი გატაცებით განაგრძობდა მუშაობას ბავშვებთან. ხშირად მიხეილ მჭედლიშვილს ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარებაშიც ეხმარებოდა.

გადიოდა დრო. მოსწავლეთა ეს ჯგუფი უკვე „დინამოს“ სექციად იქცა. მწვრთნელს კვირაში ერთხელ აკომპანიატორი ანია უნანოვა მიჰყავდა ვარჯიშის გასახალისებლად და ინტერესის ასამაღლებლად. მერე, როცა საქმე ქორეოგრაფიამდე მივიდა, ვალენტინა შიროკაია მიიწვია დამხმარედ. მომცრო დარბაზი მოთხოვნებს აღარ პასუხობდა. ავტორიტეტი, მაშინ, დიდად ფასდებოდა. საკმარისი იყო მზიას სიტყვა დასცდენოდა დარბაზის გაფართოებაზე, რომ განათლების სამინისტროს უმალვე დაეწყო დარბაზის რეკონსტრუქცია.

იმ წელს მზია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს და კონკრეტულ საქმეებში ჰპოვა ასახვა მისმა ავტორიტეტმა „ჯანმრთელობისა და ფიზიკური კულტურის“ მუდმივმოქმედ კომისიაში მუშაობისას.

60-იან წლებში ჩვენი ტანვარჯიში აგრძელებდა უფროსი თაობის ფუძეჩაყრილ ტრადიციებს ჩინებული სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ამ სპეციალისტთა რიგებს თამამად შეემატა მზია ჯუღელი – იგი საქართველოს ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა. დებიუტი წარმატებული გამოდგა. მერე კი საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებში აიყვანეს მწვრთნელად – აქაც უფროსის რანგში.

ბავშვებთან მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია – მოამზადა ოსტატობის სამი კანდიდატი, ლალი ბანძელაძე კი სპორტის ოსტატი გახდა. ლალი დღეს ცნობილი ექიმია. ვაუებიდან სპორტის ოსტატმა როლანდ კომახიძემ შემდეგ თავად დაიწყო მწვრთნელობა...

თენგიზ გაჩეჩილაძე

დასაწ. იხ. „ლელო“ №40.... 98.

გაგრძელება იქნება

მსჯელობა სპორტის სიწმინდის დაცვისა და სოციალურ-პოლიტიკური როლის ამაღლებაზე

ამას წინათ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს განათლების, კულტურის და მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის მე-4 დირექტორატის სპორტის დეპარტამენტმა ჩატარა ორი ღონისძიება: ევროპის საბჭოს დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის მონიტორინგული ჯგუფის ყოველწლიური, მორიგი მე-14 შეხვედრა და სპორტის დეპარტამენტთან არსებული სპორტის განვითარების კომიტეტის სხდომა.

პირველი: ევროპის საბჭოში სპორტის ეგიდით მიღებულია ორი კონვენცია: „დოპინგსაწინააღმდეგო“ და „მაყურებელთა ძალადობა და ყოფაქცევა სპორტულ ღონისძიებებზე, განსაკუთრებით საფეხბურთო მატჩებზე“. წლეულს ჩვენმა ქვეყანამ, სეოკ-ის ინიციატივით, ხელი მოაწერა დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციას. ამჟამად ამ კონვენციის წევრია ევროპის 42 ქვეყანა, 35 ქვეყანაში კი იგი რატიფიცირებულია. კონვენციას შეუერთდნენ აგრეთვე არაევროპული ქვეყნები (ავსტრალია, კანადა, აშშ, არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, ჩინეთი, ჰონდურასი, იაპონია, მექსიკა, პერუ, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი და სხვა), საერთაშორისო პოლიტიკური და სპორტული ორგანიზაციები.

მონიტორინგული ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგის საკითხები ძირითადად მოიცავდა წლის ანგარიშს; აზრთა გაზიარებას საერთაშორისო სპორტულ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის ეფექტური მოქმედებისათვის და მისი მუხლების რეალიზაციისათვის; მომავალი წლის სამუშაო საკითხების განხილვას და რეკომენდაციების მიღებას.

ავსტრალიაში, იტალიაში, რუსეთში, რუმინეთში, ირლანდიაში და თურქეთში განხორციელებული მონიტორინგული და საკონსულტაციო ვიზიტების ანგარიშით გამოვიდნენ შესაბამისი ექსპერტები: გაანალიზდა კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის მონაცემთა ბაზა; ანგარიშით გამოვიდნენ თურქეთის, ფინეთის, რუსეთის ექსპერტები, სადაც წლეულს ჩატარდა სხვადასხვა სემინარი, კონფერენცია თუ სხდომა დოპინგთან ბრძოლის საკითხებზე. ყურადღების ცენტრში იყო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიო დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მუშაობასთან და მომავალთან, რადგან ეს სააგენტოა ორგანიზაციულად და ფინანსურად ის „ქოლგა“-ორგანიზაცია, რომელმაც კომპლექსურად უნდა შეძლოს ეფექტური მოღვაწეობა სპორტში დოპინგის გამოფენების შემთხვევათა შემცირებისა და თანმიმდევრული აღმოფხვრისათვის. სააგენტოს შტაბ-ბინად, ამას წინათ, შეირჩა მონრეალი. გაისად მისი ბიუჯეტი 18.270.000 აშშ დოლარი იქნება. მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: სპორტსმენთა ტესტირება ძირითადად არასაშჯიბრო პერიოდში, ანუ ვარჯიშის პროცესში. ტესტების სავარაუდო რაოდენობა 4500-ია, რომლისთვისაც ბიუჯეტი გაიღებს 3.300.000 აშშ დოლარს; სამეცნიერო-სამედიცინო გამოკვლევებზე, პროექტებზე და სემინარებისთვის — 5.400.000. ბიუჯეტის ფორმირება განხორციელდება სოკ-ის და საერთაშორისო სამთავრობო პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ თანაბარი (50-50 პროცენტი) მონაწილეობით. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა გახდა კონვენციის მონაწილე და პარლამენტი მომავალში მოახდენს საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით მის რატიფიკაციას, აუცილებელია ვალდებულებებიდან გამომდინარე გადაიდგას პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. კერძოდ, უნდა შეიქმნას საქართველოს დოპინგსაწინააღმდეგო კომისია, რომელიც იხელმძღვანელებს რა წესდებით, პრაქტიკულად განახორციელებს კონვენციის მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მეორე: სპორტის განვითარების კომიტეტის სხდომაზე განხილვის საკითხი იყო: „ლტოლვილები და კავკასიის რეგიონი“; „ბავშვები ჩერნობილის ავარიით დაზიანებული ქვეყნებიდან“. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბოსნია-ჰერცოგოვინას ექსპერტებმა წარმოადგინეს მოხსენებები, ანალიზი, პრობლემები, მოსაზრებები და წინადადებები. კავკასიის რეგიონისათვის მიმდინარეობდა დისკუსია იმ წარმატებულ პროექტზე, რომელიც რეალიზებული იქნა ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ჩემს მიერ ჯერ კიდევ 15 ნოემბრამდე, ევროპის საბჭოს პოლიტიკური ურთიერთობის დეპარტამენტში წარდგენილი იქნა პროექტი „ხუთი რგოლი ნდობისათვის“. ეს პროექტი მოიცავს ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის საზაფხულო სპორტულ ბანაკს „სპორტი — ყველასათვის“.

კონკურსზე 200-ზე მეტი პროექტია (არა მხოლოდ სპორტულ თემატიკაზე) წარდგენილი. 40 გამარჯვებული დასახელდება 2002 წლის აპრილში. ჩვენი პროექტი დეპარტამენტმა მოიწონა და რეკომენდაციას გაუწევს, ხოლო სპორტის განვითარების კომიტეტის სხდომაზე იგი საფუძვლად აიღეს კავკასიის ქვეყნებისათვის, ანუ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი ახალგაზრდებისათვის ანალოგიური პროექტის შესამუშავებლად. პროექტის განხორციელება დაიგეგმა 2002 წლისათვის. სემინარი ჩატარდება ქ. სოჭში, საზაფხულო ბანაკი კი საქართველოში, კერძოდ, აჭარის რეგიონში. პროექტის განხორციელებისათვის ხელმძღვანელად დაინიშნა ემირ მედანოჯიჩი (ბოსნია-ჰერცოგოვინა), ხოლო მე, როგორც პროექტის ავტორი, კოორდინატორად. ვფიქრობთ, სპორტის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება ურთიერთნდობის აღდგენა სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნებების ჯგუფებისათვის, როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში.

თამაზ თევზაძე,

სეოკ-ის წევრი, საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი, ევროპის საბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის ექსპერტ-დელეგატი.

„ცისაფერს“ – 2001 აშდოდი, ისრაელი

საქართველოს სპორტული ცეკვების შემსრულებლები 2001 წელს მიიწვიეს ისრაელის ქალაქ აშდოდში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ცისაფერს“ – 2001 მონაწილეობის მისაღებად, რომლის ორგანიზატორი იყო ისრაელის სპორტ-ცეკვების ფედერაცია (პრეზიდენტი ბორის ოდიკაძე).

ბრწყინვალედ ორგანიზებულ ტურნირს სათავეში ედგნენ ჩვენი ქვეყნიდან ისრაელში წასულები რუზანა და ბორის ოდიკაძეები. მათვე ეხმარებოდნენ ელგუჯა იაკობაშვილი და ლამზირა მიმინოშვილი. ძალზე გაძლიერდა ისრაელის სპორტული ცეკვების სკოლა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წასულმა სპეციალისტებმა, რომელთაგან საუკეთესონი საქართველოს სპეციალისტები არიან. მათ აქვთ ყველაზე დიდი და მასობრივი სტუდიები და ჰყავთ ყველაზე მეტი საუკეთესო მოცეკვავეები – ისრაელის ჩემპიონები. ისრაელში დახვედრაც და მასპინძლობაც საუკეთესოდ მოგვიწყვეს. დაგვათვალიერებინეს მთელი ისრაელის ღირსშესანიშნაობები.

ჩვენს დელეგაციაში იყვნენ თენგიზ გაჩეჩილაძე (საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, დელეგაციის ხელმძღვანელი). დავით კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი (საერთაშორისო კლასის მოცეკვავე წყვილი) და პაატა ჩუტკერაშვილი და ლაურა ქველაძე („ა“ კლასის მოცეკვავე წყვილი).

პირველ დღეს იუნიორ-1 კატეგორიაში, ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში, პირველობა არავის დაუთმეს პაატამ და ლაურამ. 9 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ერთსულოვანი იყო მათი ოსტატობის უმაღლეს შეფასებაში.

უფროსი ასაკის მოცეკვავეთა შეჯიბრებაზე დარბაზი გადაიჭედა, სიტუაცია ძალზე დაიძაბა. ინგლისის, ჰოლანდიის, რუსეთის, პოლონეთის, სლოვენიის და მრავალი სხვა ქვეყნის საუკეთესო წყვილები იბრძოდნენ წარმატებისთვის. ბრწყინვალე იყო სლოვენიური წყვილი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოა რეიტინგით. ჩვენმა წყვილმა (კულუმბეგაშვილი – კვირიკაშვილი) მცირე განსხვავებით წააგო მოლდაველ და ჰოლანდიელ წყვილებთან და V ადგილით დაკმაყოფილდა, რაც ასეთი რანგის შეჯიბრებაზე წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ლაურამ და პაატამ ევროპულ ცეკვებში II ადგილი დაიკავეს. დათომ და იამ ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში ნახევარფინალში იცეკვეს და მოწონებაც დაიმსახურეს.

ასეთი წარმატებები მაღალი რეიტინგის ტურნირზე, ჩვენს მოცეკვავეებს კარგა ხანია არ მიუღწევიათ.

თ. გაჩეჩილაძე,

საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

ბორის ოდიკაძე (მარცხნივ) და თენგიზ გაჩეჩილაძე იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, შოთა რუსთაველის ფრესკასთან.

მარცხნიდან: დათო კულუმბეგაშვილი, ია კვირიკაშვილი, ლაურა ქველაძე და პაატა ჩუტკერაშვილი ისრაელში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან.

ხუთჰიდელის ხსოვნის ტურნირი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას არაერთი სპორტსმენი შეეწირა, რომელთა შორის იყო სოხუმელი ბარნაბ (ბესო) მეფარიშვილი, — სპორტის ოსტატი თანამედროვე ხუთჰიდში, რომელიც წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამ დღეებში საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჰიდის ფედერაციამ და სპორტკლუბმა „რიომ“ ჩაატარა ბესო მეფარიშვილის ხსოვნის ტურნირი თანამედროვე ხუთჰიდში 20 ახალგაზრდა სპორტსმენის მონაწილეობით. პირველობა წილად ხვდა გიორგი ლეონიძეს, მეორე იყო მამუკა მახაშვილი, მესამე — ლევან კაკიაშვილი (სამივე — თბილისი). შეჯიბრებაში აფხაზეთის რამდენიმე წარმომადგენელიც მონაწილეობდა.

გამარჯვებულს ბესო მეფარიშვილის ხსოვნის პრიზი გადასცა მისმა მამამ — მურთაზმა. ტურნირი ტრადიციული გახდება.

რეგისტრაცია და აუდიტი ხელმისაწვდომ ფასებში

შ.პ.ს. „გუმათე“ გთავაზობთ ფირმების რეგისტრაციას (შპს 220 $, ინდივიდუალური საწარმო 80 $), აუდიტს და ბიზნეს-გეგმების შედგენას, როგორც სპორტული, ისე ნებისმიერი მსურველებისთვის. ტელ: 98-80-32; 93-56-14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო მილოცვა



საქართველოს ფეხბურთელებს, ფეხბურთის მუშაკებს, მსაჯებს, გულშემატკივრებს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და აღმასკომის სახელით მოგილოცავთ დამდეგ ახალ წელს. იმედი მაქვს 2002 წელი ქართული ფეხბურთისთვის იმ საქმიანობის სრულყოფის წლად იქცევა და იმ შედეგების მომტანი იქნება, რისთვისაც ჩვენ ყველა ერთად ვიღვწით.

ყველამ ერთად ვისურვოთ წარმატებები ქართული ფეხბურთის სადიდებლად!

მერაბ ჟორდანია,
სფფ-ს პრეზიდენტი

დღეს ფინალებია

„ბენდელას“ თასის მეათე საიუბილეო გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დღეს ბავშვთა და ძირითად ტურნირში ფინალური მატჩები გაიმართება. გამოვლინდებიან გამარჯვებულები, პრიზიორები, საუკეთესო ფეხბურთელები. ეს შესანიშნავი ტურნირი სულ რაღაც ერთი წლით დაგვეშვიდობება, მაგრამ ჯერ წლევანდელ გამარჯვებულს გამოარკვევს. აი, რა გზა გაიარეს ფინალისტებმა უმთავრეს მატჩებამდე.

ჯგუფური ტურნირი

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
თბილისი	3	3	0	0	10-1	9
შევარდენი	3	2	0	1	17-8	6
დინამო2	3	1	0	2	6-12	3
ცხინვალი	3	0	0	3	2-14	0

„ბ“ ჯგუფი

საბურთალო	3	3	0	0	10-3	9
ნაძალადევი	3	2	0	1	9-8	6
ბაასი-ლიდ.	3	1	0	2	6-7	3
ცხუმი	3	0	0	3	3-10	0

„ბ“ ჯგუფი

თი-ბი-სი	3	2	0	1	6-4	6
ტორპედო	3	1	1	1	3-2	4
ლოკომოტ.	3	1	1	1	4-5	4
ზოოვეტი	3	1	0	2	1-3	3

1/4 ფინალები

შევარდენი — ნაძალადევი 1-1 (პ. 4-3)
თბილისი — ტორპედო 2-3
თი-ბი-სი — ბაასი-ლიდერი 1-3
საბურთალო — ლოკომოტივი 5-2

1/2 ფინალები

ტორპედო — **საბურთალო** 3-6
შევარდენი — **ბაასი-ლიდერი** 0-2

ბავშვთა ტურნირი

მეოთხედფინალი

ირაო1 — ოლიმპიკი3-0
დინამო (ბთ) — საბურთალო2 3-0
შევარდენი1906 — ირაო2 2-1
თბილისი2000 — დინამო2 1-0

ნახევარფინალები

ირაო1 — დინამო (ბათუმი) 4-1
შევარდ.1906 — თბილ.2000 2-2 (პენ. 3-2.)

წინა ნომერში ეროვნული ჩემპიონატის მცირე მიმოხილვა შემოგთავაზეთ. ამჯერად გავიხსენოთ უმაღლესი და პირველი ლიგის ჩემპიონატის პირველი ეტაპის დ რჩენილი ოთხი ტურის მატჩების თანმიმდევრობა.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ინგლისი

არსენალი — ჩელსი 2-1
0-1 ლემპარდი (31), 1-1 კემპბელი (49), 2-1 ვილტორდი (70)

ფულემი — ჩარლტონი 0-0

ბოლტონი — ლიდსი 0-3
ფაულერი (2,16,89).

ვესტ ჰემი — დერბი 4-0
შემელი (5), დი კანიო (73), სინკლეირი (86), დეფო (90)

ასტონ ვილა — ლივერპული 1-2
0-1 ლიტმანენი (9), 1-1 ჰენდრი (21), 1-2 შმიცერი (73)

ასტონ ვილა — ლივერპული

საუთჰემპტონი — ტოტენჰემი 1-0
ბიტი (56)

ნიუკასლი — მიდლსბრო 3-0
შირერი (29), სპიდი (58), ბერნარი (83)

ევერტონი — მანჩესტერი 0-2
გიგზი (78), ვან ნისტერლოი (85)

იფსვიჩი — ლესტერი 2-0
ბენტი (48), პერალტა (55)

ბლეკბერნი — სანდერლენდი 0-3
ქვინი (17,32), კილბეინი (90)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ნიუკასლი	19	12	3	4	37-23	39
არსენალი	19	10	6	3	39-23	36
ლივერპული	18	11	3	4	28-18	36
ლიდსი	19	9	8	2	29-17	35
მანჩესტერი	19	10	3	6	45-28	33
ჩელსი	19	7	9	3	29-15	30
ტოტენჰემი	19	8	3	8	30-26	27
ასტონ ვილა	19	7	6	6	25-24	27
სანდერლენდი	19	7	5	7	17-17	26
ფულემი	18	5	9	4	17-17	24
ვესტ ჰემი	19	6	6	7	24-30	24
ჩარლტონი	19	5	8	6	21-22	23
ევერტონი	19	6	5	8	23-25	23
ბლეკბერნი	19	5	7	7	25-24	22
ბოლტონი	19	5	6	8	21-29	21
მიდლსბრო	18	5	4	9	17-26	19
საუთჰემპტ.	18	6	1	11	19-30	19
დერბი	19	4	4	11	14-35	16
იფსვიჩი	19	3	6	10	19-28	15
ლესტერი	19	3	6	10	12-34	15

ბომბარდირები
ანრი (არსენალი) — 16
ჰასელბანკი (ჩელსი) — 13
ვან ნისტელროი (მანჩესტერი) — 11

შოტლანდია

აბერდინი — დანდი (გადაიდო)
სელტიკი — ლივინგსტონი 3-2
დანდი იუნ. — ჰარტსი 0-2
კილმარნოკი — დანფერმლაინი 0-0
მოზერუელი — სტ. ჯონსტონი 1-2
ჰიბერნიანი — რეინჯერსი 0-3

სელტიკი	20	18	1	1	47-11	55
რეინჯერსი	21	13	6	2	48-17	45
ლივინგსტონი	20	10	7	3	30-16	37
აბერდინი	20	10	3	7	31-28	33
კილმარნოკი	21	8	4	9	22-24	28
ჰარტსი	21	8	3	10	28-27	27
დანდი	20	6	5	9	20-30	23
დანფერმლ.	21	6	4	11	23-37	22
დანდი იუნ.	21	5	7	9	22-37	22
ჰიბერნიანი	21	5	6	10	26-33	21
მოზერუელი	21	4	6	11	25-41	18
სტ. ჯონსტონი	21	3	4	14	15-36	13

სელტიკი — ლივინგსტონი

უმაღლესი ლიგა

პირველი ეტაპის დარჩენილი ოთხი ტურის კალენდარი

XIX ტური
2 მარტი, შაბათი
მერანი — ლოკომოტივი
დინამო (თბ) — სამგურალი
ვიტ-ჯორჯია — ტორპედო
მეტალურგი — კოლხეთი 1913
დინამო (ბთ) — გურია
გორდა — სიონი

XX ტური
10 მარტი, კვირა
ლოკომოტივი — გორდა
სიონი — დინამო (ბთ)
გურია — მეტალურგი
კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — დინამო (თბ)
სამგურალი — მერანი

XXI ტური
17 მარტი, კვირა
სამგურალი — ლოკომოტივი
მერანი — ტორპედო
დინამო (თბ) — კოლხეთი 1913
ვიტ ჯორჯია — გურია
მეტალურგი — სიონი
დინამო (ბთ) — გორდა

XXII ტური
22 მარტი, პარასკევი
ლოკომოტივი — დინამო (ბთ)
გორდა — მეტალურგი
სიონი — ვიტ ჯორჯია
გურია — დინამო (თბ)
კოლხეთი 1913 — მერანი
ტორპედო. — სამგურალი

პირველი ლიგა

პირველი ეტაპის დარჩენილი ოთხი ტურის კალენდარი

XIX ტური
3 მარტი, კვირა
თსუ — თორი
ლოკომოტივი3 — ლაზიკა
მილანი — ცხინვალი
ქობულეთი — დილა
ლოკომოტივი (სამტ) — მერანი
კოლხეთი (ხ) — დინამო2

XX ტური
8 მარტი, პარასკევი
ცხინვალი — ლოკომოტივი 3
9 მარტი, შაბათი
თორი — კოლხეთი (ხ)
დინამო2 — ლოკომოტივი (სამტრ)
მერანი2 — ქობულეთი
ლაზიკა — თსუ
დილა — მილანი

XXI ტური
16 მარტი, შაბათი
ლაზიკა — თორი
თსუ — ცხინვალი
ლოკომოტივი3 — დილა
მილანი — მერანი 2
ქობულეთი — დინამო2
ლოკომოტივი (სამტ) — კოლხეთი

XXII ტური
23 მარტი, შაბათი
თორი — ლოკომოტივი (სამტრ)
კოლხეთი (ხ) — ქობულეთი
დინამო2 — მილანი
მერანი2 — ლოკომოტივი3
დილა — თსუ
ცხინვალი — ლაზიკა

ქვეყნები და წლის საუკეთესო ფეხბურთელები

ხორვატიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მცველი *იგორ ტუდორი* დასახელებულია ხორვატიის საუკეთესო ფეხბურთელად. მან გაუსწრო ალენ ბოქშიჩს, რომელიც ინგლისის „მიდლსბროში“ გამოდის და რობერტ კოვაჩს, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ ასპარეზობს.

მიუნხენის „ბაიერნისა“ და პერუს ნაკრების თავდამსხმელი ***კლაუდიო პიზარო*** დასახელებულია პერუს 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. მან მიიღო ხმების 22%, მომდევნო ადგილებზე არიან ხოსე დელ სოლარო (8%) და მარკო სიურლიცუ (5%).

საუკეთესო მეკარედ დასახელდა „უნივერსიტარიოსა“ და პერუს ნაკრების მეკარე ***ოსკარ იბანესი.***

რომარიო

ბრაზილიის ფეხბურთის ვარსკვლავი რომარიო, რომელიც იცავს „ვასკუ და გამას“ ღირსებას, დასახელებულია 2001 წლის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად.

მომდევნო ადგილებზე არიან: კაკა („სან-პაულუ“), ალექს მინეირუ („ატლეტიკო“ პარნენსე), ანაილსონი („სან-კაეტანო“), ფრანკა („სან-პაულუ“), ესკერდანია („სან-კაეტანო“).

პირველი შეხვედრა ქაბულში

მას შემდეგ, რაც ავღანეთში დაიმხო თალიბების რეჟიმი, ჩატარდა პირველი საფეხბურთო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ქაბულის გუნდები, „საბავუნი“ და „მიფანდი“. მატჩს დაესწრო 4000-მდე ფეხბურთის გულშემატკივარი.

თალიბების რეჟიმის დროს ფეხბურთელები თამაშობდნენ გრძელი შარვლებით, ხოლო შესვენების დროს, ტაიმებს შორის, ეწყობოდა სახალხო დასჯა. ამ შეხვედრაში ფეხბურთელები გამოვიდნენ შორტებით, ხოლო მათი ფორმა მოგვაგონებდა „მანჩესტერისა“ და „რეალისას“. ბევრმა ფეხბურთელმა პირიც გაიპარსა. პირველად, 1996 წლიდან, შესვენების დროს არ ჩატარებულა არავითარი დასჯა.

ამ შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორი და საუკეთესო ფეხბურთელი აბდოლა ბარაკი ორ ნომინაციაში დაჯილდოვდა შესაბამისად 8 და 12 დოლარის ეკვივალენტ ეროვნული ვალუტით.

გაანთავისუფლეს „ბენფიკას“ მწვრთნელი

პორტუგალიის „ბენფიკას“ მთავარი მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან. ის გუნდში მოვიდა შარშან, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით გუნდი გავიდა მეექვსე ადგილზე და პირველად ვერ მოხვდა ევროტურნირებში, წლეულს კი „ბენფიკა“ უკვე გამოეთიშა პორტუგალიის თასის გათამაშებას, ხოლო ჩემპიონატში მე-4 ადგილზეა. ასეთი სუსტი გამოსვლის შედეგისთვის ოლივეირა გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამეგობრობის თასი 2002

19 იანვარს სტარტს აიღებს თანამეგობრობის თასის საიუბილეო მე-10 გათამაშება. თამაშების გუნდური სპონსორია ფირმა „იტერა“, საპრიზო ფონდი შეადგენს 100000 დოლარს. გუნდები დაყოფილნი არიან 4 ჯგუფად. გაგაცნობთ გათამაშების კალენდარს.

A ჯგუფი

სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი), ნეფტჩი (ფერანა, უზბეკეთი), შერიფი (ტირასპოლი, მოლდავეთი), პიუნიკი (სომხეთი)

19 იანვარი
სპარტაკი — ნეფტჩი
შერიფი პიუნიკი
20 იანვარი
სპარტაკი — შერიფი
პიუნიკი — ნეფტჩი
22 იანვარი
სპარტაკი — პიუნიკი
შერიფი — ნეფტჩი

B ჯგუფი

სკონტო (რიგა, ლატვია), ტორპედო (ქუთაისი, საქართველო), ჟენესი (ახტანა, უაზახეთი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (კონკურს გარეშე).

ტორპედო — ახალგაზრდული ნაკრები
სკონტო — ჟენესი
20 იანვარი
ტორპედო — სკონტო
ჟენესი — ახალგაზრდული ნაკრები
22 იანვარი
ტორპედო — ჟენესი
სკონტო — ახალგაზრდული ნაკრები

G ჯგუფი

დინამო (კიევი, უკრაინა), კაუნასი (კაუნასი, ლიტვა), შამქირი (აზერბაიჯანი), რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი)

19 იანვარი
დინამო — კაუნასი
შამქირი — რეგარ — ტადაზი.
20 იანვარი
დინამო — შამქირი
კაუნასი — რეგა-ტადაზი
22 იანვარი
დინამო — რეგარ-ტადაზი
შამქირი — კაუნასი

D ჯგუფი

ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი), ფლორა (ტალინი, ესტონეთი), სკა პვო (ბიშკეკი, ყირგიზეთი), ნისა (აშხაბადი, თურქმენეთი).

19 იანვარი
ბელშინა — ფლორა
სკა პვო — ნისა
20 იანვარი
ფლორა — სკა პვო
ბელშინა — ნისა
22 იანვარი
ბელშინა — სკა პვო
ფლორა — ნისა

ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ ბრძოლას თასისათვის.

მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 23 იანვარს, *ნახევარფინალი* — 25 იანვარს, ფინალი — 27 იანვარს.

ტურნირში დაწესებულია სპეციალური პრიზები. „ოქროს ბუცი“, რომელიც გადაეცემა საუკეთესო მოთამაშეს, „ოქროს ხელთათმანი“ კი გადაეცემა საუკეთესო მეკარეს.

ამ ტურნირზე ელიან ფიფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერს, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს და გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კოვაჩევიჩი — «სოსიედადში»

ესპანეთის „სოსიედადმა“ მოაწერა ხელი კონტრაქტს იუგოსლავიის ნაკრებისა და რომის „ლაციოს“ ფორვარდ დარკო კოვაჩევიჩთან. სატრანსფერო თანხა შეადგენს 4 მილიონ ფუნტ სტერლინგს.


ალექსანდრ პანოვი

პანოვი — მოსკოვის «დინამოში»

საფრანგეთის „სენტ-ეტიენისა“ და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელი ალექსანდრ პანოვი გადავიდა მოსკოვის „დინამოში“. ის მოსკოველთა გუნდში ითამაშებს იჯარის წესით. პანოვმა „ზენიტი“ დატოვა 2000 წელს, მაგრამ მის კარიერას „სენტ-ეტიენში“ წარმატებულს ვერ ვუწოდებთ, მან ძირითად შემადგენლობაში ვერ დაიმკვიდრა ადგილი.

ფილიმონოვი მოსკოვის «დინამოში»


ალექსანდრ ფილიმონოვი

კიევის "დინამოს" კარის დარაჯი ალექსანდრ ფილიმონოვი საფეხბურთო კარიერას ალბათ გააგრძელებს მოსკოვის „დინამოში“. შეგახსენებთ, რომ ფილიმონოვი შარშან მოსკოვის „სპარტაკიდან“ კიევის „დინამოში“ გადავიდა. მაშინ კიეველთა ძირითად მეკარეს ალექსანდრ შოკოვსკის ტრავმა ჰქონდა, და ფილიმონოვს უწინასწარმეტყველებდნენ ძირითად შემადგენლობაში ადგილს, მაგრამ, როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე უკრაინის ჩემპიონატში, ფილიმონოვმა „ჩააგდო“ რამდენიმე შეხვედრა, რის შედეგადაც მან დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ამ დროს კიევის „დინამო“ ყიდულობს კიევის „ცსკა“-დან ვიტალი რევას, რომელიც საბოლოოდ ხდება ძირითადი მეკარე და სახელდება უკრაინის საუკეთესო მეკარედ.

დენიზლი გაანთავისუფლეს

მას შემდეგ, რაც „ფენერბახჩემ“ თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში დამარცხება განიცადა ჩემპიონატის დებიუტანტთან, მისი მთავარი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან. მის მოვალეობას დროებით შეასრულებს მოადგილე ოგიუზ სეტინი. შეგახსენებთ, დენიზლის ხელმძღვანელობით „ფენერბახჩე“ შარშან თურქეთის ჩემპიონი გახდა, მაგრამ წლეულს გუნდი სუსტად ასპარეზობს — ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე წააგო ყველა შეხვედრა, გამოეთიშა თურქეთის თასის გათამაშებას, ხოლო ჩემპიონატში გუნდი მესამე ადგილზეა. ყოველივე ამის გამო, მოულოდნელი არ იყო „ფენერბახჩეს“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება.


დენიზლი

ბავშვთა ფეხბურთი

მიხეილ მესხის ხსოვნის საკალათბურთო ტურნირი

1994-წლიანებში გამარჯვებული «ნორჩი დინამოელი». მარცხნივ — მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის (უფროსი დავით ჭელიძე) ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი გიორგი უდესიანი) სასიკეთო საქმეებზე ადრეც დაგვიწერია. ამჟამად კვლავ მოგვეცა შესაძლებლობა იმ ერთი ლამაზი და ჩინებულად მოწყობილი ღონისძიების თაობაზე გაუწყოთ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ამ ცენტრის თაოსნობით. ეს არის ლეგენდარული ფეხბურთელის მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი სხვადასხვა ასაკის ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობით. აქვე დავძენთ, რომ მას შემდეგ, რაც ამ ცენტრში მ. მესხის სახელობის ნორჩ ფეხბურთელთა სკოლა „ავაზა“ გაერთიანდა, შეჯიბრებებიც მომრავლდა, რითაც ნიჭიერ მოზარდ ფეხბურთელებს თავგამოჩენის დამატებითი შესაძლებლობა ეძლევათ.

ტურნირში სამ ასაკობრივ ჯგუფში 30 გუნდი მონაწილეობდა. 1991 წელს დაბადებულთა შორის ფინალში „შევარდენმა“ (მწვრთნელი ვახტანგ ჩიმაკაძე) საბოლოოდ (ძირითადი დრო 2-2) პენალტების სერიით აჯობა თანატოლ ავაზელებს. მესამე ადგილზე გავიდა დაბა ჟინვალის ნორჩთა გუნდი.

შევარდნელებმა 1992 წლიანთა პაექრობაშიც გამოიჩინეს თავი. ფინალში მათი მეტოქე იყო „ნორჩი დინამოელი“. დამაჯერებელი ანგარიშით 4-0 გაიმარჯვა „შევარდენმა“ (მწვრთნელი ბადრი მანწკავა). მესამე იყო „ავაზა“.

1994 წლიანთა ფინალურ შეხვედრაში „ნორჩმა დინამოელმა“ (მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე) ასევე დიდი ანგარიშით 6-0 მოუგო „ირაოს“ გუნდელებს. „ვაკე-91“, რომელიც ცნობილია თავისი წარმატებებით, ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა. შაბათს დასრულდება 1993 წლიანთა ასპარეზობა.

ტურნირს ესწრებოდნენ ვეტერანი ფეხბურთელები მიხეილ მესხი (უმცროსი), ილია დათუნაშვილი, მურთაზ ხურცილავა, რამაზ ურუშაძე და ავთანდილ ხელაძე, რომლებმაც პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები, მაი შორის სპორტულ ჟურნალისტ შალვა ქირიას წიგნი „ვარდები მიხეილ მესხისათვის“ გადასცეს გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

1992-წლიანებში გამარჯვებული «შევარდენი». მწვრთნელი ბადრი მანწკავა

1991-წლიანთა შორის გამარჯვებული «შევარდენი». მწვრთნელი ვახტანგ ჩიმაკაძე. სკოლის დირექტორი ბადრი მანწკავა (მარჯვნივ)



25 დეკემბერი

ნიუ იორკი — ტორონტო 102-94

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (34), სპრიუელი (21), ჰარინგტონი (16), ჯექსონი (13+11 გადაცემა)

ტორონტო: პეტერსონი (22), უილიამსი (18), კარტერი (15)

ლეიკერსი — ფილადელფია 88-82

ლეიკერსი: უოკერი (18+10 მოხსნა), შო (13), ბრაიანტი (12+11 მოხსნა+ 9 გადაცემა)

ფილადელფია: აივერსონი (31), მუტომბო (12+13 მოხსნა), კოულმენი (12+10 მოხსნა)

26 დეკემბერი

შარლოტი — ვაშინგტონი 99-93

შარლოტი: კემბელი (17)

ვაშინგტონი: ჯორდანი (28)

კლივლენდი — ნიუ ჯერსი 89-91

კლივლენდი: მიმი (19)

ნიუ ჯერსი: კიდი (27)

მილუოკი — ატლანტა 107-97

მილუოკი: რობინსონი (32)

ატლანტა: აბდულ — რახიმი (28)

ორლანდო — ინდიანა 82-89

ორლანდო: მაკგრეიტი (31)

ინდიანა: ჰარინგტონი (23)

სან ანტონიო — დალასი 123-126 (დ.დ)

სან ანტონიო: დენკანი (53)

დალასი: ფინლი (28)

მემფისი — ჩიკაგო 107-85

მემფისი: გასოლი (27)

ჩიკაგო: მერსერი (22)

ჰიუსტონი — ფინიქსი 91-97

ჰიუსტონი: მობლი (33)

ფინიქსი: მარბერი (33)

დენვერი — მინესოტა 91-94

დენვერი: ვან ექსელი (27)

მინესოტა: გარნეტი (22), ბილაპსი (22)

იუტა — ბოსტონი 99-86

იუტა: რასელი (19)

ბოსტონი: პირსი (28)

საკრამენტო — პორტლენდი 99-86

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (19)

პორტლენდი: უოლესი (25)

გოლდენ სტეიტი — ლეიკერსი 101-90

გოლ სტეიტი: ჯემილსონი (28)

ლეიკერსი: ბრაიანტი (39)

კლიპერსი — ფილადელფია 86-100

კლიპერსი: ბრენდი (26)

ფილადელფია: აივერსონი (23);

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ.	წ.	%
ბოსტონი	17	9	65,4
ნიუ ჯერსი	17	9	65,4
ვაშინგტონი	14	13	51,9
ნიუ იორკი	13	15	46,5
ორლანდო	13	17	43,3
ფილადელფია	12	16	42,9
მაიამი	5	20	20,0

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი	16	9	64,0
ინდიანა	17	13	56,7
დეტროიტი	14	11	56,0
ტორონტო	15	13	53,6
შარლოტი	13	15	46,4
კლივლენდი	11	17	31,3
ატლანტა	10	18	35,7
ჩიკაგო	4	22	15,4

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

სან ანტონიო	20	6	76,9
მინესოტა	19	8	70,4
დალასი	19	9	67,9
იუტა	14	15	48,3
დენვერი	9	18	33,3
მემფისი	8	20	28,6
ჰიუსტონი	8	21	27,6

პასიფიკის დივიზიონი

ლეიკერსი	20	5	80,0
საკრამენტო	21	9	70,0
კლიპერსი	15	12	55,6
ფინიქსი	16	13	55,2
სიეტლი	14	15	48,3
პორტლენდი	13	14	48,1
გოლ. სტეიტი	12	17	41,4



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ჭადრაკში მსოფლიოს ყველა ცხრავე ჩემპიონი ქალი ფიდეს ვერსიით

1. ვერა მენჩიკი — დაიბადა მოსკოვში 1906 წლის 16 თებერვალს. დაიღუპა ავია დაბომბვის დროს ლონდონში, 27 ივნისს 1944 წელს. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი 1927-1944 წლებში. დარჩა დაუმარცხებელი.

2. ლიუდმილა რუდენკო — დაიბადა 1904 წელს ლუბნში, პოლტავის გუბერნია. გარდაიცვალა 1986 წელს. მსოფლიოს ჩემპიონი 1950-53 წლებში.

3. ელიზავეტა ბიკოვა — დაიბადა 1913 წელს ვლადიმირის ოლქში. გარდაიცვალა 1989 წელს. მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი 1953-1956, 1958-1962 წლებში.

4. ოლგა რუბცოვა — დაიბადა 1909 წელს მოსკოვში. გარდაიცვალა 1994 წელს. მსოფლიოს ჩემპიონი 1956-1958 წლებში.

5. ნონა გაფრინდაშვილი — დაიბადა 1941 წელს. მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი 1962-1978 წლებში.

6. მაია ჩიბურდანიძე დაიბადა 1961 წელს მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი 1978-1991 წლებში.

7. სუ ჯუნი — დაიბადა 1970 წელს (ჩინეთი), მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი 1991-1996, 1999-2000 წლებში.

8. ჟუჟა პოლგარი — დაიბადა 1969 წელს (უნგრეთი). მსოფლიოს ჩემპიონი 1996-1999 წლებში.

9. ჩუუ ჩენი — დაიბადა 1976 წელს (ჩინეთი), მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 2001 წლის 14 დეკემბერს.

2002 წლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

იანვარი

14-20 იანვარი — ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ლოზანა, შვეიცარია.

25 იანვარი — ევროპის ჩემპიონატი ხელბურთში. შვედეთი.

თებერვალი

2-3 თებერვალი — მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში (კროსი). ზოლდერი, ბელგია

8-24 თებერვალი — ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშები (სოლტ ლეიკ სიტი, აშშ)

მარტი

1-3 მარტი — ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (დარბაზში). ვენა, ავსტრია.

18-24 მარტი — მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ნაგანო, იაპონია.

19-23 მარტი — ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. სალონიკი, საბერძნეთი.

30 მარტი — 7 აპრილი — ევროპის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ზაგრები, ხორვატია.

აპრილი

3-7 აპრილი — მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში. მოსკოვი, რუსეთი.

11-14 აპრილი — ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჰელსინკი, ფინეთი.

22-28 აპრილი — ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ანტალია, თურქეთი.

მაისი

1-4 მაისი — ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ბაქო, აზერბაიჯანი.

2-5 მაისი — ევროპის ჩემპიონატი ტაიკვანდოში. ანკარა, თურქეთი.

16-19 მაისი — ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. მარიბორი, სლოვენია.

31 მაისი — 30 ივნისი — მსოფლიოს XVII ჩემპიონატი ფეხბურთში. კორეა-იაპონია.

ივნისი

10-24 ივნისი — დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდული თამაშები. მოსკოვი, რუსეთი.

ივლისი

2-16 ივლისი — მსოფლიოს ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ლახტი, ფინეთი.

11-20 ივლისი — ევროპის ჩემპიონატი კრივში. პერმი, რუსეთი.

15-21 ივლისი — მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ნიუ ორლეანი, აშშ.

25 ივლისი — 4 აგვისტო — ევროპის ჩემპიონატი ცურვაში. ბერლინი, გერმანია.

აგვისტო

6-11 აგვისტო — ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. მიუნხენი, გერმანია.

12-18 აგვისტო — მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. ლისაბონი, პორტუგალია.

19-25 აგვისტო — მსოფლიო ჩემპიონატი წყალბურთში. ბელგრადი, იუგოსლავია.

29 აგვისტო — 8 სექტემბერი — მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. ინდიანაპოლისი, აშშ.

სექტემბერი

4-7 სექტემბერი — მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. თეირანი, ირანი.

9-14 სექტემბერი — მსოფლიო ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. კანბერა, ავსტრალია.

19-22 სექტემბერი — მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მოსკოვი, რუსეთი.

28 სექტემბერი — 13 ოქტომბერი — მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში. არგენტინა.

ოქტომბერი

27 ოქტომბერი — 13 ნოემბერი — XX მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. ბლედი, სლოვენია.

ნოემბერი

17-24 ნოემბერი — მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. ვარშავა, პოლონეთი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

28 დეკემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. ევროკა. მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40), *EUROSPORT*. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (15.00, 21.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (17.30), ცეკვები. ევროპის პირველობა (20.00). ფეხბურთი. დარბაზის მინი გერმანიიდან (23.00), რალი-2002. ტოტალ-დაკარი. *НТВ плюс футбол.* მსოფლიო ფეხბურთი (13.20), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (14.00, 16.45), ინგლისი (16.45) ჩემპიონატები და შედეგები. იაპონია — კორეა (21.00, 0.25), *НТВ плюсспорт*. ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (13.45), ტაილანდური კრივი, რუსეთის ჩემპიონატი (15.50).

29 დეკემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. სპორტული პროგრამა (13.05), ***ევროკა.*** მსოფლიო სპორტი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), *EUROSPORT*. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.00, 16.30, 21.00, 22.00). ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (23.00), ფიგურული ციგურაობა. 2001-2002. გრან პრი (2.00). *НТВ плюс футбол.* იაპონია და კორეა – 2002 (13.15). ჰოლანდიის ჩემპიონატი (14.00, 16.15), მსოფლიო ფეხბურთი (18.00), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (19.35, 23.55), მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატი. რუსეთის მეტოქეები (21.20). *НТВ плюс спорт*. კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (11.45).

30 დეკემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ათწლეულის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოება (18.00). ***ევროკა.*** მსოფლიოს სპორტი (23.30). ***მე-9 არხი.*** მსოფლიო ფეხბურთი (19.35). *EUROSPORT*. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 15.00, 19.00, 23.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. უეფა (16.00), ფიგურული ციგურაობა 2001-2002. გრან-პრი (17.00, 20.30). სუმო. გრანდ-ტური (0.30). რალი-2002. ტოტალ-დაკარი (1.30, 4.00). კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (3.30), *НТВ плюс футбол.* მსოფლიო ჩემპიონატი 1982 წ. რუსეთის მეტოქეები (15.00), ინგლისის ჩემპიონატი „ფულჰემი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“. მსოფლიო ჩემპიონატი 1988 წ. რუსეთის მეტოქეები (22.00), მსოფლიო ფეხბურთი (0.15). იაპონია და კორეა-2002 (0.45), *НТВ плюсспорт*. სოლტ-ლეიკ-სიტი-ის გზები (22.00), ტაილანდური კრივი (1.30).

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშული სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი თანამშრომელი

ზოთა ლებანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 28-29 XII, 16 საათზე, დაკრძალვა 30 XII, 14 საათზე. მისამართი, შმიდტის 108.

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 26 წლისა გარდაიცვალა ძალოსანი

იაბრ ჯოჯუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ვეტერანი ავტორი, მწერალი

კიმი ალიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 იანვარს, პარასკევს.

კროსვორდი №102

თარაზულად: 1. შედეგი სპორტში, 4. ორადგილიანი ველოსიპედი, 7. ძველ საბერძნეთში ოთხწლიანი პერიოდი ოლიმპიურ თამაშებს შორის, 8. სამხ. აფრიკელი ფეხბურთელი, 9. „რეალის“ პორტუგალიელი ლეგიონერი, 2001 წ. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, 10. „ბალიორკას“ არგენტინელი, ლეგიონერი მეკარე, 12. რუსეთის ფეხბურთის მაღალჩინოსანი, 13. ლიბერიელი ფეხბურთელი, 17. ამერიკელი ჩოგბურთელი, 18. ტაშკენტში „დინამო“ — „ტორპედოს“ საჩემპიონო მატჩის არბიტრი, 19. იაპონელი ფეხბურთელი 1998 წლის მჩემპიონატის მონაწილე, 20. მოჭადრაკე და საჭადრაკო კომპოზიტორი საქართველოში, 21. ინგლისელი ფეხბურთელი ლე...

შვეულად: 1. ნორვეგიელი ფეხბურთელი, თამაშობს „რეინჯერსში“, 2. ნიჩბოსანთა სადგური, 3. „მარსელის“ პრეზიდენტი, 5. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წ. მჩემპიონი, 6. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი (1980 წ), 9. ფეხბურთში თავდამსხმელი ან... 11. წმინდა დამარცხება კრივში, 14. სპორტის სახეობა, 15. რუმინეთის საფეხბ. ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 16. ცნობილი მექსიკელი ფეხბურთელი.

კროსვორდი №101-ის პასუხები

თარაზულად: 1. კოშკურა, 7. პატი, 8. კრამლინგი, 10 ტოკიო, 15. ახვლედიანი, 16. „ოფი“, 17. ფანდი, 18. ენგე, 20. ტყორცნა, 21. „იეთფა“.

შვეულად: 2. შხარა, 3. რაი, 4. როი, 5. კასკადიორი, 6. ლი, 9. გულედანი, 11. ოუენი, 12 ლოგოფეტი, 13. მხედარი, 14. მათეუსი, 19. ნბა.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლf8!

1. ...მფ:e5 2. მf3X. 1. ...მფe3 2. ლf2X.

1. ...მფc3 2. ლb4X. 1. ...b5 2. ლc5X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.